ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აცხადებს კონკურსს დაზუსტებული პირობით

ქ. თბილისში, მე-2, მე-6 მე-10 (მაღლივი), მე-11 სასაწავლო კორპუსებში და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში არსებული ფართების იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე სწრაფი კვებისა და გამაგრილებელი სასმელების აპარატის განსათავსებლად.

1.

საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა	ა) 1 კვ.მ- მე-2 (ნულოვანი სართული) და მე-6 სასწავლო (ფოიე) კორპუსები არანაკლებ <u>100</u> ლარი დღგ-ს გარეშე; ბ) 1 კვ.მ - მე-10 (მაღლივი), მე-11 სასაწავლო კორპუსებში და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა (ფოიე) – არანაკლებ <u>90</u> ლარი დღგ-ს გარეშე
„ბე”	500 ლარი;
იჯარის ვადა	3 წელი
მისამართი	ა) ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№3. ჭავჭავაძის გამზ. №8; ბ) ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№2; უნივერსიტეტის ქ. №13; უნივერსიტეტის ქ. №11;
იჯარით გასაცემი ფართი	დაახლოებით 5 კვ.მ
განაცხადების მიღების ადგილი	ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №3 თსუ II კორპ. II სართული, იურიდიული დეპარტამენტი, ოთახი №241, ტ.: 22-23-92;
განაცხადების მიღების ვადა	ა/წ 21 აპრილიდან 01 მაისამდე 14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა)
კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი)	2010 წლის 05 მაისი, 16.00 საათი
საბანკო რეკვიზიტები	კ/ბ „რესპუბლიკა ა/ა №345634 ბანკის კოდი 220101757 ს/კ 204864548
შენიშვნა	კონკურსში მონაწილის მიერ, კონვერტში წარმოდგენილი უნდა იქნას კონკრეტულად დაფიქსირებული თვიური საიჯარო ქირა; განაცხადი მიიღება ყველა ობიექტზე ერთდროულად ან ცალ-ცალკე;

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

- საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოს და უცხო ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

საკონკურსო პირობებია:

- მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის თანხის ოდენობის გადახდა ყოველთვიურად;
- იჯარით გასაცემ ობიექტებში სწრაფი კვებისა და გამაგრილებელი სასმელების აპარატის განთავსება;
- იჯარით გასაცემ ფართზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება (საჭიროების შემთხვევაში);
- სარემონტო სამუშაოებზე დახარჯული თანხები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება;
- ფართის იჯარით აღების მსურველს უნდა ჰქონდეს კვების ობიექტის მუშაობის შესაბამისი გამოცდილება;
- იჯარის ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული ქონება უბრუნდება უნივერსიტეტს.
- იჯარის თანხის ოდენობის გადახდის შემცირება არასასწავლო პერიოდში.

კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია შეირჩეს ის იურიდიული (ფიზიკური) პირი, რომელიც უზრუნველყოფს ფართის ეფექტურ გამოყენებას სწრაფი კვებისა და გამაგრილებელი სასმელების აპარატის განსათავსებლად და მომსახურების ხარისხისა და ფასის თვალსაზრისით მაქსიმალურად ხელმისაწვდომს გახდის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის.

საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებია:

ის ძირითადი მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება აღნიშნული ფართის კონკრეტული იურიდიული (ფიზიკური) პირისათვის გადაცემა შემდეგია:

- მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას;
- ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული და ეკოლოგიურ მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა;
- ვალდებულების აღება მოხმარებული ელექტროენერგიის და წყლის ხარჯების ყოველთვიურად დაფარვის თაობაზე;

- ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება;

- სტუდენტთა „სწრაფი” კვების მენიუს (საორიენტაციო ჩამონათვალი) უზრუნველყოფა; დაუშვებელია ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის შემოტანა რეალიზაციის მიზნით;

შენიშვნა: დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადება არ განიხილება);
უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების მიმღებს უფლება არა აქვს მიღებული ქონება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უნივერსიტეტთან შეუთანხმებლად სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის გააქირაოს, იჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს) ან სხვაგვარად დატვირთოს, არამიზნობრივად გამოიყენოს იგი. ამასთან მოიჯარე პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის.
მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია ყოველ 6 თვეში ერთხელ ან/და მოთხოვნისთანავე წარუდგინოს უნივერსიტეტს.
ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ფართის მიმღებ პირს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულებით, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:

- ქირის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში – ქირის 0.9% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- სხვა საკონკურსო ან/და სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მიიჩნევა ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს იჯარით გასაცემი ობიექტის/ობიექტების დასახელება და თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. მონაწილის წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ, წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით, დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადება არ განიხილება);

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
5.იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიალურად დამოწმებულ ასლებს (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ბოლო მდგომარეობით).
6. მიმღები: **კ/ბ „რესპუბლიკა ა/ა №345634 ბანკის კოდი 220101757 ს/კ 204864548**; „ბე”-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

- „მოიჯარე”-ს მიერ გადახდილი „ბე” ჩაითვლება საიჯარო გადასახადში.
- განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

- საიჯარო ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის კონკურსში გამარჯვებული.
- კონკურსში გამარჯვებულ პირთან საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდება 10 დღის ვადაში.